ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო _____

ჯორჯო გუიდუჩი _____

სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო _____

ჯორჯო გუიდუჩი _____

ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში
სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნები	2018	2017
			-
შემოსავალი	10	5,056,223	2,017,244
სხვა შემოსავალი		-	626
საკონსულტაციო მომსახურება (ხევი-არგვეთა და თბილისი ბაიპასი)	11	(3,003,747)	(1,211,085)
თანამშრომლების ხელფასები		(833,612)	(291,458)
ამორტიზაცია		(9,700)	(104)
სხვა ხარჯები	12	(94,621)	(43,421)
სულ საოპერაციო შემოსავალი		**1,114,543**	**471,803**
სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი		(4,657)	-
შემოსავალი/ხარჯი კურსთა შორის სხვაობიდან	13	49,292	(1,295)
მოგება დაბეგვრამდე		**1,159,178**	**470,508**
მოგების გადასახადი (ხარჯი)		(70,576)	-
წმინდა მოგება		**1,088,602**	**470,508**
სხვა შემოსავალი		-	-
სულ წმინდა შემოსავალი		**1,088,602**	**470,508**

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო _____

ჯორჯო გუიდუჩი _____

ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნები	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3,428	522
არამატერიალური აქტივები	6	36,632	-
		40,060	**522**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	7	1,101,744	1,401,951
წინასწარ გადახდილი გადასახადები	8	118,762	20,764
ნაღდი ფული ბანკში		513,517	155,393
სულ მიმდინარე აქტივები		**1,734,023**	**1,578,108**
სულ აქტივები		**1,774,083**	**1,578,630**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
რეზერვები და დაფინანსება		13,493	13,493
დაგროვილი მოგება		1,159,178	470,508
სულ კაპიტალი და რეზერვები		**1,172,671**	**484,001**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	9	601,412	1,094,629
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**601,412**	**1,094,629**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**1,774,083**	**1,578,630**

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო _____

ჯორჯო გუიდუჩი _____

ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	რეზერვები და დაფინანსება	წმინდა მოგება	სულ
5.04.2017	**-**	**-**	**-**
სულ შემოსავალი		470,508	470,508.00
რეზერვები და დაფინანსება	13,493		13,493.00
31.12.2017	**13,493**	**470,508**	**484,001**
სულ შემოსავალი		1,088,602	1,088,602
განაწილებული მოგება		-399,932	-399,932
31.12.2018	**13,493**	**1,159,178**	**1,172,671**

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო

ჯორჯო გუიდუჩი

ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში დაფუძნდა 2017 წლის 5 აპრილს. ის წარმოადგენს იტალიური კომპანიის, GESTIONE PROGETTI INGEGNERIA SOCIETA'A RESPONSABILITA' LIMITATA IN SIGLA G.P. INGEGNERIA-S.R.L ფილიალს.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გივი კარტოზიას ქ., N8, კორპუსი N6, სართული 3, ბინა N10

ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში არის ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზი-ს ფილიალი საქართველოში ქვე-კონტრაქტორი. საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროს გზების დეპარტამენტსა და ამხანაგობას (ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზი, ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში და აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში) შორის დადებული კონტრაქტის მიხედვით, ჯიპიაის საქმიანობას წარმოადგენს საკონსულტაციო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო

ჯორჯო გუიდუჩი

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

საოფისე ინვენტარი: 3 წელი

არამატერიალური აქტივები: 3 წელი

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივებისთვის ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო Claudio Ziffero

ჯორჯო გუიდუჩი

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო

ჯორჯო გუიდუჩი

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.
გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

განმარტებითი შენიშვნები:

5. ძირითადი საშუალებები

5	3,428	522

ძირითადი საშუალებები შედგება ოფისის აღჭურვილობისგან.

6. არამატერიალური აქტივები

6	36,632	-

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამას, რომელიც გამოიყენება საკონსულტაციო საქმიანობაში.

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017ლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დებიტორული დავალიანებები დაკავშირებული მხარეებისაგან	392,884	706,474
წინასწარ გადახდილი თანხები სათაო ოფისის საპროექტო სამუშაოებზე	697,870	684,489
წინასწარ გადახდილი იჯარა	10,990	10,988
	1,101,744	1,401,951

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო _____

ჯორჯო გუიდუჩი _____

ყველა თანხა არის მოკლე ვადიანი. სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო დავალიანებების სუფთა საბალანსო ღირებულება მიახლოვებულია რეალურ ღირებულებასთან

კომპანიის პოლიტიკა ითვალისწინებს ყველა დებიტორული დავალიანების სრულ უზრუნველყოფას 365 დღეში, რადგან, როგორც წარსულის პრაქტიკა გვიჩვენებს, 365 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული დავალიანებები, როგორც წესი, აღარ გადაიხდება. ანგარიშგების თარიღისათვის, რაიმე საშეღავათო პირობა წარმოშობილი არ ყოფილა, რამდენადაც არ დამდგარა ისეთი გარემოება ან მოვლენა, რომლებიც გავლენას იქონიებდნენ დებიტორული დავალიანებების დაფარვაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები თანხები სრულად ანაზღაურებადია

მემეჯმენტი თვლის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები თანხები სრულად ანაზღაურებადია. უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია უცხოურ სავალუტო რისკებზე კომპანის დაქვემდებარების შესახებ, იხილეთ მე-16 შენიშვნაში

8. წინასწარ გადახდილი გადახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადები მოიცავს ყველა დაბეგვრის სუფთა შედეგს წლის ბოლოსათვის, და ძირითადად შედეგება წინასწარ გადახდილი დღგ-საგან

9.სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	3,092	2,449
მიღებული ავანსები	494,694	863,920
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	103,625	228,260
	601,412	**1,094,629**

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო

ჯორჯო გუიდუჩი

10. შემოსავალი

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავალი RCIP/CS/QCBS-19 პროექტიდან	3,049,494	1,440,437
შემოსავალი ხევი-არგვეთას პროექტიდან	2,006,729	576,807
	5,056,223	**2,017,244**

11. თბილისის შემოვლითი გზისა და ხევი - არგვეთას პროექტებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შპს ინგოსეპტა	-	366,800
ჯიპიაი რომი ხევი-არგვეთას პროექტისათვის	-	350,716
ანას ინტერნეიშენელ ენტერპრაიზ	1,582,216	303,053
ჯიპიაი რომი თბილისის შემოვლითი გზის პროექტისათვის	1,233,112	189,916
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	-	600
შპს „გეოჰიდრო სერვისი“	32,149	-
შპს „გეოსმარტ სოლუშენს“	37,402	-
მოწინავე გეოტექნიკური კონსალტინგი	28,663	-
საინჟინრო დახმარების სერვისები	90,205	-
	3,003,747	**1,211,085**

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო

ჯორჯო გუიდუჩი

12.სხვა ხარჯები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
თარგმნა და სხვა მომსახურებები	278	5,175
მივლინებები	18,233	6,938
საბანკო გადასახადები	10,769	2,062
საკანცელარიო საგნების, კომპიუტერის, საოფისე ტექნიკის შესყიდვები	68	709
საბუღალტრო მომსახურებები	32,813	17,902
აუდიტორული მომსახურებები	31,892	-
სხვა ხარჯები	568	10,635
	94,621	**43,421**

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო _____

ჯორჯო გუიდუჩი _____

13.მოგება / (ზარალი) უცხოური ვალუტიდან

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
მოგება (ზარალი) სავალუტო კურსის სხვაობებიდან:		
სესხებსა და დებიტორულ თანხებზე	56,600	(864)
საამორტიზაციო ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(7,307)	(431)
	49,292	**(1,295)**

14.არსებითი სააღრიცხვო ვარაუდები და თვალსაზრისები

ვარაუდები და თვალსაზრისები მუდმივად ფასდება და ეფუძნება წარსულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მოლოდინებს სამომავლო მოვლენებზე, რომლებიც, მიიჩნევა, რომ გონივრული უნდა იყოს მოცემულ გარემოებებში.

a. ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დაარსდა როგორც GESTIONE PROGETTI INGEGNERIA SOCIETA'A RESPONSABILITA' LIMITATA IN SIGLA G.P. INGEGNERIA-S.R.L-ის (რომი, იტალია) ფილიალი. იგი არის ერთობლივი საწარმო, რომელშიც გაერთიანებულია ორი იტალიური კომპანია (Anas International Enterprise და IRD Engineering) და რომელიც ახორციელებს საინჟინრო მომსახურების კონტრაქტს საქართველოს შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტისათვის **"E60 ავტომაგისტრალის ნატახტარი-რუსთავი გზის მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური პროექტის მომზადება (თბილისის შემოვლითი გზა)"** რომელიც გაიცა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ და ფინანსდება აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი სესხით

2017 წლის სექტემბერში კომპანიამ ხელი მოაწერა კიდევ ერთ მომსახურების კონტრაქტს IRD Engineering-თან. ეს კონტრაქტი ითვალისწინებს საკონსულტაციო მომსახურებებს მეორე ქართული სატრანსპორტო ინფრასტუქტურისათვის: E60 ავტომაგისტრალის ხევი - არგვეთას მონაკვეთი.

მენეჯმენტი თვლის, რომ ფილიალი წარმატებით დაასრულებს პროექტებს, შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების შესრულებას ბიზნესის ჩვეულებრივი წარმართვის გზით.

მენეჯმენტი იმედოვნებს, რომ მომავალშიც გააგრძელებს მომსახურებების მიწოდებებს საკონსულტაციო კონტრაქტებით, მასშტაბური ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტებისათვის. მენეჯმენტი აქტიურად ეძებს ასეთ შესაძლებლობებს მსგავსი პროექტებისათვის გამოცხადებულ საჯარო ტენდერებში მონაწილეობით.

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო Claudio Ziffero

ჯორჯო გუიდუჩი

15. ფინანსური ინსტრუმენტები

a. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მიღებულია მნიშვნელოვნი სააღრიცხვო პოლიტიკისა და მეთოდების დეტალები, მათ შორის შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებს კრიტერიუმები და ბაზისი, რომლითაც ხდება თითოეული კლასის ფინანსური აქტივის აღიარება. ფინანსური ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტები ახსნილი და წარმოდგენილია 3.4 შენიშვნაში

b. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური მდომარეობის ანგარიშში წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები ეხება აქტივებისა და პასივების შემდეგ კატეგორიებს:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	392,884	706,474
ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	513,517	155,393
	906,401	**861,867**

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	3,092	2,449
გადასახდელი ხელფასები და სხვა გასაცემები	103,625	228,260
	106,717	**230,709**

16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკები. ამ რისკებს შორის ძირითადია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობოს რისკები

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო _____

ჯორჯო გუიდუჩი _____

ფინანსური რისკის ფაქტორები:
ა) საბაზრო რისკი

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისას, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს. კერძოდ, ერთ-ერთ ასეთ რისკს წარმოადგენს სავალუტო რისკი, რომელიც წარმოიშვება კომპანიის საოპერაციო საქმიანობებიდან.

უცხოური სავალუტო რისკი

კომპანია ახორციელებს გარკვეულ ოპერაციებს, რომლებიც უცხოური ვალუტით აისახება. ამიტომ, კომპანიაზე ზემოქმედებს სავალუტო კურსის მერყეობები.

ქვემოთ წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში ასახული ფინანსური აქტივები და პასივები, რომელთა გამოც კომპანია უცხოურ სავალუტო რისკებს ექვემდებარება. აქ მითითებული თანხები, რომლებიც უმაღლეს მენეჯმენტს წარედგინა, გადაყვანილია ქართულ ლარებში ფინანსური დახურვის განკვეთით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები	**125,197**	**59,913**
	62,176	49,896
ფული და საბანკო ანგარიშების ბალანსები	63,021	10,017
ფინანსური ვალდებულებები	**-**	**103,625**
გადასახდელი ხელფასები და სხვა გასაცემები	-	103,625
სუფთა პოზიცია	**125,197**	**(43,712)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის სენსიტიურობა ქართული ლარის 15%-იანი ზრდის ან შემცირების შემთხვევაში აშშ დოლარისა და ევროს მიმართ. ეს 15% წარმოადგენს კომპანიის მემეჯმენტის მიერ გაკეთებულ შეფასებას უცხოური სავალუტო კურსის შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით. სენსიტიურობის მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გადაუხდელ ფულად სტატიებს და აკორექტირებს მათ გადაანგარიშებას პერიოდის ბოლოსათვის, უცხოური სავალუტო კურსის 15%-იანი ცვლილების პირობით.

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო _____

ჯორჯო გუიდუჩი _____

თუ ქართული ლარი 15%-ით გამყარდება აშშ დოლარის და ევროს მიმართ, ეს შემდეგნაირად იმოქმედებს კომპანიაზე:

	აშშ დოლარის ზემოქმედება 2018	ევროს ზემოქმედება 2018
მოგება (ან ზარალი)	(18,780)	6,557

თუ ქართული ლარი 15%-ით გაუფასურდება აშშ დოლარის და ევროს მიმართ, ეს შემდეგნაირად იმოქმედებს კომპანიაზე:

	აშშ დოლარის ზემოქმედება 2018	ევროს ზემოქმედება 2018
მოგება (ან ზარალი)	18,780	(6,557)

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო _____

ჯორჯო გუიდუჩი _____

უცხოურ სავალუტო კურზე დაქვემდებარების რისკი ცვალებადობს წლის განმავლობაში, რაც განხორციელებული საერთშორისო ტრანსაქციების მოცულობაზეა დამოკიდებული. მაგრამ, ამის მიუხედავად, ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი რეპრეზენტაციულად მიიჩნევა კომპანიაზე სავალუტო რისკების ზემოქმედების ასახვის თვალსაზრისით.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ეხება რისკს, რომ კონტრაგენტმა შეიძლება ვერ შეასრულოს ნაკისრი საკონტრაქტო ვალდებლებები, რაც ფინანსურ ზარალს მიაყენებს კომპანიას. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, წარმოდგენილია შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულების სახით:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დებიტორული ანგარიშები	392,884	706,474
ნაშთები საბაკო ანგარიზე	513,517	155,393
	906,401	**861,867**

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

კომპანიის პოლიტიკას წარმოადგენს ლიკვიდურობის გონივრული მართვა ფულადი საშუალებებისა და საბანკო ანგარიშების ბალანსების, აგრეთვე მაღალლიკვიდური აქტივების საკმარისი სიდიდით შენარჩუმების გზით, რათა განახორციელოს საოპერაციო საქმიანობებთან დაკავშირებული და ვალების მომსახურების გადახდები მათი ვადის დადგომისას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კოპმპანიის დარჩენილი საკონტრაქტო ვადები, რომლებშიც მან უნდა დაფაროს თავისი არა-წარმოებული ფინანსური ვალდებულებები გადახდების შეთანხმებული პერიოდულობით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო Claudio Ziffer

ჯორჯო გუიდუჩი

არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ უადრესი თარიღის გათვალისწინებით როდესაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს ვალდებულებების დაფარვა. ცხრილში შეტანილია ფულადი ნაკადების პროცენტები და ძირი თანხები.

2018	6 თვეზე ნაკლები		6 თვე - 1 წელი		1-5 წელი		5 წელზე მეტი
ფინანსური აქტივები							
დებიტორული დავალიანებები დაკავშირებული მხარეებისაგან	392,884		-		-		-
ფული და საბანკო ანგარიშების ბალანსები	513,517		-		-		-
სულ, ფინანსური აქტივები	**906,401**		**-**		**-**		**-**
ფინანსური ვაალდებულებები							
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	3,092						
გადასახდელი ხელფასები და სხვა გასაცემები	103,625		-		-		-
სულ, ფინანსური ვალდებულებები	**106,717**		**-**		**-**		**-**
სუფთა პოზიცია	**799,684**		**-**		**-**		**-**

2017	6 თვეზე ნაკლები		6 თვე - 1 წელი		1-5 წელი		5 წელზე მეტი
ფინანსური აქტივები							
დებიტორული დავალიანებები დაკავშირებბული მხარეებისაგან	706,474		-		-		-
ფული და საბანკო ანგარიშების ბალანსები	155,393		-		-		-
სულ, ფინანსური აქტივები	**861,867**		**-**		**-**		**-**
ფინანსური ვაალდებულებები							
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავაალიანებები	2,449		-		-		-
გადასახდელი ხელფასები და სხვა გასაცემები	228,260						
სულ, ფინანსური ვალდებულებები	**230,709**		**-**		**-**		**-**
სუფთა პოზიცია	**631,158**		**-**		**-**		**-**

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო Claudio Ziffero

ჯორჯო გუიდუჩი _____

ფინანსური აქტივებიდან მისაღებ სავარაუდო ფულად ნაკადებს კომპანია ითვალისწინებს ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ, ფულადი რესურსებისა და დებიტორული დავალიანებების შეფასებისა და მართვისას. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო დებიტორული დავალიანებები აჭარბებს ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს.

17.სხვა ფაქტორები

a. ბიზნესის გარემო

საქართველო კვლავაც განიცდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. წარმოადგენს რა მზარდ ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია განვითარებული ბიზნესისა და რეგულირების ისეთი ინფრასტრუქტურა, როგორიც უფრო მდგრადი და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს აქვთ. ამას გარდა, ეკონომიკური პირობებიც, თავის მხრივ, კვლავ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობებს, რაც, შესაძლოა, ვერ ასახავდეს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებას. ძირითადი დაბრკოლება, რომელიც შემდგომ ეკონომიკურ წინსვლას უშლის ხელს, არის ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე და ასევე ცენტრალიზებული ეკონომიკური ბაზა, რეგიონალური არასტაბილურობა და საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი.

ეკონომიკური მდგომარობის გაუარესებამ იმ ქვეყნებში, რომლებიც საქართველოსთან თანამშრომლობენ, გამოიწვია საზღვარგარეთიდან საქართველოში ფულადი გადარიცხვების შემცირება, რომლებზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკა. მსოფლიო ფასების ვარდნა სამთომომპოვებელ პროდუქციაზე, გაურკვევლობები პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებში და ინფლაციური პროცესები, ასევე უწყობენ ხელს სიტუაციის გაუარესებას როგორც საქართველოს ეკონომიკაში, ისე თვითონ კომპანიაშიც. მაგრამ, იმის გამო, რომ ამ გაურკვევლობებთან დაკავშირებული ცვლადი ფაქტორებისა და ვარაუდების რაოდენობა დიდია, კომპანიის მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს საიმედო შეფასება იმ თანხების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ კომპანიის აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებაზე.
კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ დღვანდელ პირობებში, შესაბამისი ზომებია მიღებული კომპანიი ეკონომიური სტაბილურობოს უზრუნველსაყოფად.

b. დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტია მისი განვითარების ეტაპზეა, და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მოქმედი სადაზღვევო უზრუნველყოფის ბევრი ფორმ, საქართველოში ჯერაც არ არის ხელმიოსაწვდომი. კომპანია ვერ ფარავს სრულად თავისი საწარმოო სიმძლავრეების, საქმიანიობის შეწყვეტის, მესამე პირთა პასუხისმგებლობის დაზღვევას ქონებასა და გარემოზე მიყენებული

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო

ჯორჯო გუიდუჩი

ზარალისათვის, რომლებიც სხვადასხვა შემთხვევების შედეგად წარმოიშვება კომპანიის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებით. მანამ, სანამ კომპანიას არ ექნება ადეკვატური სადაზღვევო დაფარვა, არსებობს რისკი, რომ მისი გარკვეული აქტივების დაკარვამ ან განადგურებამ, და გარემოზე მიყენებულმა ზარალმა შესაძლოა არსებითი ნეგატიური გავლენა იქონიოს კომპანიის ოპერაციებზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

c. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირ საკანონმდებლო ცვლილებებს განიცდის, რაც ხშირ შემთხვევებში საჭიროებს ინტერპრეტაციებს. რიგ შემთხვევებში, საგადასახადო ორგანოები და კანონდებლობა სხვადასხვაგვარად განმარტავენ ამ სისტების დებულებებს. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვასა და შემოწმებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან, რომლებსაც კანონით აქვთ მინიჭებული მკაცრი ჯარიმებისა და სხვა სანქციების დაწესების უფლება,

ამ ფაქტებმა შეიძლება ბევრად უფრო მაღალი საგადასახადო რისკები შექმნას საქართველოში, ვიდრე სხვა რომელიმე განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები მათი საგადასახადო კანონმდებლობით ინტერპრეტირების საფუძველზე. თუმცა, სხვა შესაბამის ორგანოებმა შეიძლება სხვაგვარად განმარტონ ეს ვალდებულებები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მათზე.

18. დაკავშირებული მხარეები

a. მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანიას არ გააჩნია აქციები ან საწესებო კაპიტალი, რადგან იგი არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ფილიალი. კომპანიას აკონტროლებს მისი დამფუძნებელი იტალიური კომპანია GESTIONE PROGETTI INGEGNERIA SOCIETA'A RESPONSABILITA' LIMITATA IN SIGLA G.P. INGEGNERIA-S.R.L.

უმაღლეს მკონტროლებელ მხარეებს წარმოადგენენ შემდეგი პირები:

- ჯორჯიო გვიდუჩი (63%)
- ფრანჩესკა ზანტედენჩი (16%)
- ემილიანი მოსკატელი (10%)
- ამბროჯიო სინორელი (10%)
- კრისტინა გვიდუჩი (1%)

კომპანიამ 2017 წლის 5 აპრილს დაარეგისტრირა თავისი ფილიალი თბილიში. კომპანიის

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო _____

ჯორჯო გუიდუჩი _____

მენეჯერებად დანიშნულები არიან:

– ბ-ნი ჯორჯიო გვიდუჩი

– ბ-ნიო კლაუდიო ზიფერერო

b. ტრანსაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი დამფუძნებელი კომპანია, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები და ძირითადი მენეჯმენტი

საანგარიშგებო პერიოდში, კომპანიამ განახორციელა ქვემოთ ჩამოთვლილი გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, ხოლო ანგარიშგების წარდგენის თარიღის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა შემდეგი დაუფარავი ნაშთები:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	
შემოსავალი	5,056,223
კონსულტაციების საფასური	2,815,328
ძირითადი მენეჯმენტის გასამრჯელო	
ხელფასები	616,167

	2018 წლის 31 დეკემბრისათვის
დაკავშირებული მხარეები	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	392,884
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	-
გაცემული ავანსები	697,870
მიღებული ავანსები	494,694
ძირითადი მენეჯმენტის გასამრჯელო	
ხელფასები	103,625

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	
შემოსავალი	2,017,244
კონსულტაციების საფასური	843,685

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო

ჯორჯო გუიდუჩი

ძირითადი მენეჯმენტის გასამრჯელო	
ხელფასები	228,387
	2017 წლის 31 დეკემბრისათვის
სათაო ოფისი	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	706,474
რეზერვები და დაფინანსება	13,943
გაცემული ავანსები	684,486
მიღებული ავანსები	863,920
ძირითადი მენეჯმენტის გასამრჯელო	
ხელფასები	182,608

19.ვარაუდი მოქმედი საწარმოს შესახებ

ფინანსური ანგარიშები მომზადდა იმ საფუძვლით, რომ უახლოეს პერიოდში კომპანიის ლიკვიდაცია არ მოხდება

ფინანსური ანგარიშები მომზადდა იმ საფუძვლით, რომ უახლოეს პერიოდში კომპანიის ლიკვიდაცია არ მოხდება. ამ დაშვებაში ჩვენ ვგულისხმობთ სულ მცირე თორმეტთვიან პერიოდს ფიანსური ანგარიშების ხელმოწერის თარიღიდან

შესაბამისი ფაქტების კონსტატაცია

GPINGEGNERIA დაფუძნდა იტალიაში, 1997 წელს. GPINGEGNERIA მოკლე დროში გახდა გამოცდილი კონკურენტი ინჟინერინგის ბაზარზე, წარმოაჩინა რა რთული პროექტების განხორციელების შესაძლებლობები (დიდი მოცულობების მიწისქვეშა საუშაოები, გრძელმალიანი ხიდები, დამეწყრილი ადგილების ძირითადი გამაგრებითი სამუშაოები, სტრუქტურების სეისმური და გეოტექნიკური სამუშაოები). ნელი მაგრამ თანმიმდევრული განვითარებით, კომპანიამ სოლიდური გამოცდილება დააგროვა სატრანსპორტო საინჟინრო ტენდერებში მონაწილობით იტალიის მასშტაბით, ხოლო 2915 წელს, კომპანიის მენეჯმენტმა გადაწყვიტა, რომ საერთაშორისო ტენერებშიც ეცადა ძალა. 2017 წელს GESTIONE PROGETTI INGEGNERIA SOCIETA'A RESPONSABILITA' LIMITATA IN SIGLA G.P. INGEGNERIA-S.R.L-მა ორი კონტრაქტი მოიპოვა საქართველოში. ამიტომ, იმავე 2017 წელს მან, ამ ორი კონტრაქტის (თბილისის შემოვლითი გზა და ხევი-არგვეეთა) განსახორციელებლად, თავისი ფილიალი დააფუძნა საქართველოში. GESTIONE PROGETTI INGEGNERIA SOCIETA'A RESPONSABILITA' LIMITATA IN SIGLA G.P. INGEGNERIA-S.R.L-მა გააფორმა ერთობლივი საწარმოს ხელშეკრულება ორ სხვა იტლიურ ფირმასთან (ANAS International Enterprise – ერთობლივი საწარმოს

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო

ჯორჯო გუიდუჩი

ძირითადი პარტნიორი და IRD Engineering), რათა მას განეხორციელებინა **E60 ავტომაგისტრალის ნატახტარი-რუსთავი გზის მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური პროექტის მომზადების საკონტრაქტო სამუშაოები. კონტაქტი, რომლის ფინანსურ მხარდაჭერასაც აზიის განვითარების ბანკი უზრუნველყოფს, გაიცა საქართველოს სააავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ. კონტრაქტის დეტალებია: კონტრაქტი** No.RCIP/CS/QCBS-19, ფასი - 6,049.671.20 ევრო (ექვსი მილიონ ორმოცდაცხრა ათას ექვსას სამოცდათერთმეტი ევრო და 20 ევროცენტი) და 6,891,609.46 ლარი (ექვსი მილიონ რვაას ოთხმოცათერთმეტი ათას ექვსას ცხრა ლარი და 46 თეთრი) ადგილობრივი არაოპირდაპირი გადასახადების ჩათვლით

ზემოაღნიშნული კონტრაქტის დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2018 წლის ოქტომბერი. შემდგომში, ამ ვადამ გადაიწია 2019 წლის აგვისტომდე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მოთხოვლი დამატებითი საქიანობების განსახორციელებლად. დღეის მდგომარეობით ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი საკითხების გამო, ჩვენ (ANAS International Enterprise/ IRD Engineering/Gestione Progetti Ingegneria ერთობლივი საწარმოს უფლებამისილმა წარმომადგენელმა) მოვითხოვეთ დამატებითი 4-თვიანი პერიოდი დეტალური დიზაინის დასასრულებლად, მაგრამ, ახალი ვადა ამ მომსახურების შესრულებისათვის, განსაზღვრული არ არის (Anas International Enterprise-ის 2019 წლის 11 ივლისის წერილი, ოქმი 099/2019, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს)

2017 წლის სექტემბერში GPI-ის ფილიალმა საქართველოში, ხელი მოაწერა კიდევ ერთ მომსახურების კონტრაქტს IRD-სთან. კონტრაქტის საგანია საკონსულტაციო მომსახურებების გაწევა მეორე ქართული ინფრასტრუქტურული პროექტისათვის: E60 ავტომაგისტრალის ხევი - არგვეთას მონაკვეთი. გვირაბების გაყვანის სფეროში GPI-ის განსაკუთრებული გამოცდილების გათვალისწინებით, IRD-მა სწორედ GPI-ის გადასცა ქვეკონტრაქტით გვირაბის პროექტი, რომლის მთლიანი ერთიანი თანხა შეადგენს 1.053.702 აშშ დოლარს, დღგ-ს გარეშე. ამ მომსახურების შესრულების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 30 აპრილი, მაგრამ შემდგომში კონტრაქტის მოქმედების ვადა გახანგრძლივდა 2019 წლის 31 დეკემბრამდე. ზემოაღნიშნული მომსახურების დასრულების ახალი ვადა განსაზღვრული არ არის და არც რაიმე დამატებითი მომსახურებების გაწევაა გათვალისწინებული (დამოუკიდებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების დამატება #2 (GEO007/17-SC07).

2018 და 2019 წლების განმავლობაში, რაიმე ახალი კონტრქტი გარდა ზემოთ აღნიშნული

ორი კონტრაქტისა, გაცემული არ ყოფილა

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო _____

ჯორჯო გუიდუჩი _____

შეშფოთების ხასიათი

კომპანია ცდილობს განიმტკიცოს პოზიციები კავკასიის რეგიონში, მონაწილეობს ღია ტენდერებში, მაგრამ გარკვეულ პრობლემებს აწყდება ადგილობივი გამოცდილების ნაკლებობის გამო (აუცილებელი მოთხოვნა ტენდერში გამარჯვებისათვის). 2018 წელს და 2919 წლის დაწყებიდან დღემდე, კომპანიას არც ერთი ახალი კონტრქტი არ მიუღია. ზემოაღნიშნული მომსახურებების შესრულების ვადები განსაზღვრული არ არის.

კონტრაქტთან დაკავშირებული გაურკვევლობების გამო, კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას, რომ მოამზადოს ფულადი სახსრების ბრუნვის ანგარიში ფინანსური ანგარიშების ხელმოწერის თარიღის შემდგომი სულ მცირე თორმეტ-თვიანი პერიოდისათვის, რადგან, ზემოთ აღნიშნული გაურკვევლობების გამო, ასეთ ანგარიშში შეტანილი ციფრები შეიძლება შეუსაბამო იყოს.

დირექტორთა მიერ გაკეთებული, ამ ფაქტებისაგან განსხვავებული ძირითადი დაშვებები

თბილისის შემოვლითი გზის კონტრაქტში შესაძლებელია შეტანილი იქნას დამატებები, რაც პროექტის დასრულების ვადის გადაწევას გამოიწვევს.

დირექტორთა გეგმები პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით

ჩვენს 2019 წლის გეგმეში შედის საკონტრაქტო მომსახურებების გაწევის გაგრძელება ყურადღების კონცენტრირებით კონტრაქტთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე კლიენტთან. დირექტორები ცდილობენ მიიღონ ახალი კონტრაქტები.

დირექტორების მიერ განსახორციელებელი საქმიანობის დეტალები

ახლანდელ კლიენტთან მოლაპარაკებებმა შეიძლება თბილისის შემოვლითი გზის პროექტთან დაკავშირებული კონტრაქტის ბიუჯეტის გაზრდის საშუალება მოგვცეს. კომპანიის მენეჯმენტი სწორედ ამ დღეებში იხილავს ამ შესაძლებლობას თბილისის შემოვლითი გზის პროექტში ჩართული ერობლივი საწარმოს (Anas International და IRD Engineering) სხვა წევრებთან ერთად. ზუსტი დეტალები, მათ შორის - დასრულების ახალი შეთანხმებული ვადა და დამატებითი სამუშაოების მოცულობები, ჯერ არ არის განსაზღვრული.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2019 წლის 19 სექტემბერს.

ჯიპიაის ფილიალი საქართველოში დირექტორი:

კლაუდიო ზიფერერო _____

ჯორჯო გუიდუჩი _____